F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ხგა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 3 (140)

თებერვალი,

1966 წელი

ორმოცდაათი...

. . .



თბილისი — საქართველოს დედაქალაქი, რუსთაველის პროსპექტი.

გ. ძოწენიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

◆

45 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა და ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ხალხის ძმური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ ეს თარიღი ოდნავაც არ ძველდება, ის კვლავ და კვლავ ახალი ძალით განგვაცდევინებს ქართველი ხალხის ამ ისტორიულ სიხარულს.

ჩვენში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ყოველ 25 თებერვალს თვალი გადავავლოთ გასული წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს, შევაჯამოთ გამარჯვებები და ავიღოთ ახალი ვალდებულებანი. ამ თვალსაზრისით უნდა გადავხედოთ 1965 წელსაც. მაგრამ ეს წელი ხომ შვიდწლედის უკანასკნელი მიჯნა იყო და, ბუნებრივია, თუ ჩვენი მიმოხილვა ზოგჯერ შვიდწლედის შედეგსაც შეეხება.

ავიღოთ ჩვენი ძლიერების ზრდის, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი საფუძველი — მრეწველობა.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმ შედეგებზე, რომლებიც შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ. შვიდწლედის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ბევრი ახალი დარგი.

უკვე ცნობილია წარმატებები, რაც მოიპოვეს ჩვენმა ელექტრომავალმშენებლებმა. რესპუბლიკამ შვიდწლედის მანძილზე აითვისა და ახლა ყოველწლიურად უშვებს მრავალ ათეულ მძლავრ სამაგისტრალო ელექტრომავალს.

არნახული ტემპით იწყო განვითარება თანამედროვე მრეწველობის ერთ-ერთმა ყველაზე მოწინავე დარგმა — ქიმიურმა მრეწველობამ. საკმარისია დავასახელოთ რუსთავის ხელოვნური ბოჭკოებისა და კაპროლაქტამის ქარხნები, რომლებიც სულ ახლახან ამოუდგნენ გვერდით რუსთავის მეორე ქიმიურ საწარმოს — აზოტოვანი სასუქების ქარხანას. რუსთავში ახლა არის ქიმიურ საწარმოთა მთელი კომპლექსი.

გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა. თუ 1957 წლამდე რესპუბლიკაში იყო ამ დარგის მხოლოდ ერთი ქარხანა, ამჟამად გვაქვს თერთმეტი ასეთი საწარმო, რომელთა პროდუქციის მოცულობა გასული წლების მანძილზე თითქმის 9-ჯერ გაიზარდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე.)

ორმოცდაცუთი...

(დასასრული.)

გაიზარდა და განმტკიცდა თბილისერგეტიკული ბაზა — სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ბერკეტი. შვიდი წლის მანძილზე აშენდა და ამოქმედდა ლაჯანურის, ხრამის მეორე, სიონის ჰიდროელექტროსადგურები, თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური, რის შედეგადაც ელექტროენერგიის გამომუშავება ერთიორად და მეტად გადიდდა.

მნიშვნელოვნად გადიდდა თუჯისა და ფოლადის გამოდნობა. თითქმის ერთიორად გაიზარდა მანგანუმის შენადნობთა წარმოება, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია — 3,6-ჯერ, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 1,3-ჯერ, კვების მრეწველობისა — 1,7-ჯერ.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში დიდი რაოდენობით ამოქმედდა ნაკადური და კონვეიერული ხაზები, ამუშავდა სხვადასხვა სრულყოფილი ავტომატი და ნახევრად ავტომატი. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში შეიქმნა 17 ნაკადური ხაზი, რომელთა მეშვეობით არსებულ საწარმოო ფართობზე თითქმის ერთიორად გაიზარდა „153“ მოდელის ჩარხების გამოშვება და ამდენჯერვე შემცირდა მათი თვითღირებულება.

მრავალი ღონისძიება განხორციელდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. მათ შორის ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო მილსაგალინავ დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია, რისთვისაც მისი პროექტის შემქმნელთა და შემსრულებელთა ჯგუფს ლენინური პრემია მიენიჭა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა სასახელო მიჩენებლებით დაამთავრეს გასული წელიც. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვების გეგმა. შესრულდა ისეთი ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმები, როგორიც არის: ქვანახშირი, მარგანეცი, თუჯი, სინთეზური ამიაკი, გამშვირვალე ნავთობპროდუქტები. სამაგისტრალო ელმავლები, სატვირთო მანქანები, ცემენტი, შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ხორცი, რძის პროდუქტები, ჩაი და სხვ. ამავე დროს მეტ წილ სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალურ გამოსახულებაში წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. შარშან მრეწველობამ აითვისა და გამოუშვა ბევრი ახალი სახეობის პროდუქცია და ნაკეთობანი. შესრულდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები.

ჩვენი მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მრეწველობის სხვა მუშაკების მხარდამხარ თავდადებით იბრძოდნენ და შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს შვიდწლედში და განსაკუთრებით მის უკანასკნელ — 1965 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ქართველ მევენახეებს. მათ ყურძნის ისეთი მოსავალი მიიღეს, როგორიც არ ახსოვს ჩვენს რესპუბლიკას, და სახელმწიფოს მიჰყიდეს ორმილიონზე ხევარი ცენტნერი ყურძენი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გურჯაანელმა, თელაველმა, ყვარლელმა და ბევრი სხვა რაიონის მევენახეებმა.

მევენახეებს არც ქართველი მეჩაიეები ჩამორჩნენ. ისინი უკვე რამდენიმე წელია დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის მიყიდვის გეგმას. შარშან მათ ცუდი ამინდების მიუხედავად შეძლეს შეესრულებინათ პირობა და სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათას ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“, ხოლო მთელი შვიდწლედის მანძილზე — თითქმის მილიონ ორასი ათასი ტონა.

უდიდესი მიღწევებია მოპოვებული ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში. ჩვენი რესპუბლიკა დაფარულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების უფართოესი ქსელით. არაერთხელ დაწერილა, რომ ყოველ ათას მცხოვრებზე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა, ექიმთა რაოდენობით საქართველოს მსოფლიოში ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს. მთელი საბჭოთა კავშირი და მსოფლიო იცნობენ მრავალი ქართველი მეცნიერისა და მწერლის, პოეტისა და მხატვრის, მსახიობისა და კულტურის სხვა დარგის მუშაკთა ნაშრომებს, რომელთა ღირსებებზე მეტყველებს მათ მიერ მოპოვებული მრავალი პრემია და ჯილდო.

ქართული კულტურის ნამდვილი ზემი იყო ფუნდამენტური ნაშრომის — რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და საქართველოს გეოგრაფიული ატლასის გამოცემა.

ქართული კულტურის სწრაფ ზრდასა და განვითარებაზე, მის მაღალ დონეზე მეტყველებს დადგენილება მრავალტომიანი ქართული ენციკლოპედიის გამოშვების თაობაზე. ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომლის შედგენისათვის მუშაობა მიმდინარე წელს დაიწყება და რამდენიმე წლის შემდეგ დამთავრდება, კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს კულტურას.

ქართველი ხალხი, მთელი ჩვენი დიადი სამშობლო, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა **ემზადება ღირსსახსოვარი თარიღის — უდიდესი ქართველი პოეტის, ფილოსოფოსის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნისათვის,** რაც ამ წლის შემოდგომისათვის არის განზრახული.

სასახელო გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა გასულ წელს, უკანასკნელი **შვიდი** წლის მანძილზე, ოძისშემდგომ წლებში, ღირსეულად დაიფასა საბჭოთა მთავრობამ და ჩვენი რესპუბლიკა მეორე ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ახლახან პრესაში გამოქვეყნდა სკკპ XXIII ყრილობის **დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.**

ამ დირექტივების მიხედვით ახალ ხუთწლედში **საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ**

უნდა გაითვალისწინოს ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარება, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის შემდგომი ზრდა;

გაადიდოს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა დაახლოებით 1,6-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — 1,9-ჯერ, სატვირთო ავტომობილების წარმოება — 2-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2-2,2-ჯერ, ბრიშუმის ქსოვილებისა — 1,4-ჯერ, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 1,6-1,7-ჯერ, საღვინე მასალებისა — 1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 2,6-ჯერ;

აამოქმედოს ენგურის, ვარციხისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პირველი რიგები; გაადიდოს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე 960 ათას კილოვატამდე. დაამთავროს ტყიბულსა და ტყვარჩელში ქვანახშირის შახტების მშენებლობა, რუსთავის აზოტიანი სასუქების ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. აიშენოს მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატი, მმართველი მათემატიკოსი მანქანების ქარხანა, 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკა და ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების 9 ფაბრიკა;

უზრუნველყოს ჩაის, ყურძნის, ციტრუსოვანი კულტურების, თამბაქოს წარმოების შემდგომი ზრდა უმთავრესად მოსავლიანობის გადიდების გზით. საექსპლოატაციოდ გადასცეს 60 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები. მოაწყოს სამელიორაციო სამუშაოები კოლხიდის დაბლობში 90 ათას ჰექტარ ფართობზე;

გაითვალისწინოს კურორტების შემდგომი განვითარება და მათთვის სასურსათო ბაზის შექმნა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ხუთწლედის პროგრამას.

გაკლიერდა და დამშვენდა

ლაპარაკობენ ციფრები

□

△ საქართველო 1921 წელს მდიდარი არ იყო სამრეწველო საწარმოებით. მათი თითებზე ჩამოთვლა შეიძლებოდა.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში 5.300-ზე მეტი სამრეწველო საწარმოა. ისინი წელიწადში ასეულ მილიონობით მანეთის საერთო პროდუქციას უშვებენ.

△ შვანასძნელ წლებში რესპუბლიკაში ათობით ახალი ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო საწარმო გაჩნდა. მათგან უდიდესია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა. შარშან აქ გამოუშვეს 13,5-ჯერ მეტი ელექტროლოკომოტივი, ვიდრე 1958 წელს — თბილისური ელმავლების წარმოების ათვისების პირველ წელს.

△ 1921 წელს საქართველოში 1.000 ჰექტარ პლანტაციებში მოკრეფილ იქნა სულ 550 ტონა ჩაი. მაგრამ უკვე 1935 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი თითქმის 35-ჯერ გადიდდა, ხოლო მოკრეფილი ფოთლის საერთო პროდუქციამ 12.744 ტონა შეადგინა.

შარშან 61 ათას ჰექტარ პლანტაციებში მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს მიეყიდა 186 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

△ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე ოთხი ათას კილოვატს არ აღემატებოდა. 1935 წლისათვის იგი გადიდდა 97 ათას კილოვატამდე, ხოლო 1965 წელს ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრემ 1,5 მილიონ კილოვატს მიაღწია. ახლა საქართველოს ელექტროსადგურები წელიწადში მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას იძლევიან.

△ 45 წლის წინათ ვენახებს რესპუბლიკაში 36 ათასი ჰექტარი ეჭირა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი ფართობი გადიდდა და 1965 წელს 107 ათას ჰექტარს მიაღწია. შარშან ქართველმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 244 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. ეს 38 ათასი ტონით მეტია, ვიდრე დამზადებულ იქნა ყველაზე მოსავლიან — 1962 წელს.

△ თუ 1921 წელს საქართველოს ციტრუსოვანთა პლანტაციები სულ 418 ჰექტარს შეადგენდა, 1935 წლისათვის მათი „სამფლობელოები“ 3.240 ჰექტარამდე გადიდდა. ამ ფართობიდან აღებულ იქნა და დამზადდა 150 მილიონამდე ოქროსფერი ნაყოფი. 1965 წელს კი ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობებმა 10.025 ჰექტარს მიაღწია. სახელმწიფოს 28.000 ტონა მანდარინი და ფორთოხალი მიეყიდა.

△ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რესპუბლიკის მინდვრებზე რა ტექნიკის შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი! 1935 წელს კი მინდვრებსა და პლანტაციებში უკვე მუშაობდა 20 ათას ცხენის ძალაზე მეტი საერთო სიმძლავრის 1.200 ტრაქტორი, 125 კომბაინი და ათასობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

მაგრამ ეს ციფრებიც უმნიშვნელოა დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით. 1965 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში იყო 12 ათასამდე ტრაქტორი, 1.774 კომბაინი, 10 ათასზე მეტი სატვირთო ავტომობილი და ბევრი სხვა ტექნიკა.

△ 1921 წელს საქართველოში მხოლოდ 45 ცუდად მოწყობილი საავადმყოფო იყო, მოსახლეობას 350-მდე ექიმი უწევდა მომსახურებას.

დღეს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას მედიცინის მუშაკთა მრავალათასიანი არმია. საქართველოშია 600-ზე მეტი საავადმყოფო და პოლიკლინიკა, 1.400-ზე მეტი საამბულატორიო-კლინიკური დაწესებულება, 100-მდე სპეციალიზებული დისპანსერი. რესპუბლიკის ყოველ 300 მცხოვრებზე მოდის ერთი ექიმი. ჯანმრთელობის დაცვის ჩინებულად დაყენებული სისტემის მეოხებით საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ზუსტად ერთი მესამედით გადიდდა.

△ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ 40 საშუალო სკოლა და ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო.

საქართველო დღეს წარაკითხვის საყოველთაო ცოდნის, მაღალგანვითარებული კულტურისა და მეცნიერების ქვეყანაა. ყოველდღე წარიალებს ზარი თითქმის ხუთი ათას სკოლაში, მერხებს უსხდება თითქმის მილიონი მოსწავლე. 60 ათასზე მეტი პედაგოგი შრომობს მოზარდი თაობის აღსაზრდელად. რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 350 ათასზე მეტი სპეციალისტია. 18 უმაღლეს სასწავლებელში კი 76.500-მდე სტუდენტი სწავლობს.

△ საქართველოს ყველა საფეიქრო საწარმომ 1935 წელს 12 მილიონამდე მეტრი ქსოვილები გამოუშვა. ახლა საქართველოს საფეიქრო მრეწველობა წელიწადში უშვებს 83 მილიონ მეტრზე მეტ სხვადასხვა ქსოვილებს.

△ „რსპაშალიპა ბაღნარებში“ — ასე უწოდებენ საქართველოს ყველგან. მაგრამ ეს სახელწოდება სწორი არ იქნებოდა 1921 წლის მიმართ: ბაღებს რესპუბლიკაში მხოლოდ 30.795 ჰექტარი ეჭირა. ახლა ეს ფართობი 126 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. რესპუბლიკის მებაღეებმა შარშან 102 ათას ტონაზე მეტი კურკოვანი და თესლოვანი ხილი დაამზადეს.

△ მდიდარია კუთვნილებას წარმოადგენდა რევოლუციამდელი საქართველოს კლუბები და კეთილშობილთა საკრებულოები. დღეს 2.000-ზე მეტი კლუბი და 200-მდე კულტურის სასახლე და სახლი ეხმარება საქართველოს მშრომელებს იმაში, რომ კარგად გამოიყენონ თავისუფალი დრო, აწყობს მათს დასვენებას.

ქართული მეცნიერების მეთაური

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის 25 წლისთავის გამო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებამ და მისმა ცენტრმა დიდი და ნაყოფიერი გზა განვლო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — მრავალათასიანი სწავლულთა რაზმით ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ზრუნავს.

აკადემიის დაბადებიდან ოცდახუთი წელიწადი გავიდა. ამ დროის განმავლობაში მეცნიერებამ გიგანტური ნახტომი გააკეთა. ჩვენ უსწრაფესი მოძრაობის, წინსვლის ეპოქაში ვცხოვრობთ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც მუდამ მხარში უდგას თანამედროვეობას.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე სამეცნიერო ცენტრი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს ოცდათვრამეტ სამეცნიერო დაწესებულებას, მრავალ საზოგადოებას, საბჭოებსა და კომისიებს, რომლებშიც ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერ მუშაკთა დიდი ჯგუფი, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 56 ნამდვილი წევრი, 32 წევრ-კორესპონდენტი, 220 დოქტორი და 853 მეცნიერებათა კანდიდატი. მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა დაწესებულებაში სამასზე მეტი კაცი სწავლობს.

საქართველოში მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობს უახლესი მოწყობილობით, აპარატურით, დანადგარებით აღჭურვილი აკადემიის ექსპერიმენტული ბაზის გაფართოება. ინტენსიური მუშაობაა გაშლილი მუხათგვერდის ლაბორატორიაში, ქიმიის ექსპერიმენტულ ბაზაზე დიღომში, აბastumნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, დიღმის ბიოლოგიურ ბაზაში და სხვა მრავალრიცხოვან სამეცნიერო ცენტრებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოეთის სხვა მთავარი სამეცნიერო ცენტრების საქმიანობასთან. თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი ამოცანა ქართველ სწავლულთა კვლევისა და დაკვირვეიის საგანს წარმოადგენს.

ქართველ სწავლულთა სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ მოგვცა ისეთი შედეგები, რომლებსაც დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს.

ქართველ მეცნიერთა მრავალმა გამოკვლევამ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო: სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ შრომებს მათემატიკის, ფიზიკის, ტექნიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის დარგებში.

ქართველ მათემატიკოსთა მრავალ ნაშრომს თეორიულთან ერთად მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება აქვს და თანამედროვე ტექნიკის აქტუალურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირშია.

ნაყოფიერია ქართველ ფიზიკოსთა მოღვაწეობა.

ქართველმა ასტროფიზიკოსებმა მთვარის ზედაპირის ფიზიკური დახასიათების შესწავლაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ქართველი გეოფიზიკოსები, რომლებიც სწავლობენ გეომაგნიტურ, გეოელექტრულ, გრავიტაციულ ველთა ვარიაციებსა და სტრუქტურებს, კავკასიის ტერიტორიის სეისმურ პირობებს, სასარგებლო წიაღისეულთა აღმოჩენის გეოფიზიკური მეთოდების დანერგვას.

ჩვენმა გეოგრაფებმა ერთიანი ძალით გამოსცეს მნიშვნელოვანი ნაშრომი — „საქართველოს ატლასი“.

ნაყოფიერად შრომობენ ქართველი გეოლოგები, მექანიკისა და სეისმურ დანადგართა დარგის სპეციალისტები. ფართო შესაძლებლობაა ჩვენს რესპუბლიკაში უახლესი თანამედროვე მეცნიერებათა დარგების — ელექტრონიკის, ავტომატიკის, კიბერნეტიკის, რადიოტექნიკისა და ტელემექანიკის განვითარებისათვის.

თანამედროვე ქიმიის აქტუალურ პრობლემათა გამოკვლევამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ქართველი ქიმიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას, ახალ მაღალმოლეკულურ შენაერთთა მიღებას, თანამედროვე ტექნიკის მასალათა და სამედიცინო პრეპარატთა შექმნას.

რესპუბლიკის მეცნიერებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ფიზიოლოგიის, ბოტანიკის, გენეტიკის, ბიოქიმიის, პალეობიოლოგიის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის სფეროში. ქართული ფიზიოლოგიის სკოლის უდიდესი გამოკვლევები მეხსიერებისა და უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების სფეროს და მრავალ სხვა საკითხში ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

საყურადღებო ნაშრომებია შექმნილი აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტებში. გამოცემულია მრავალი წიგნი, რომლებიც ეხება ლიტერატურისა და ხელოვნების, ენის, ლოგიკის, დიალექტიკური მატერიალიზმის, ფილოსოფიის პრობლემებს. დიდი და ფართო მუშაობა მიმდინარეობს აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროში, გამოქვეყნებულია მრავალი გამოკვლევა, რომლებიც მიეძღვნა ეკონომიკის, საქართველოს ეკონომიკის ისტორიის, სამართლის საკითხებს.

უკანასკნელ წლებში ქართველმა მეცნიერებმა მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემა გადაჭრეს. შესრულებულ სამუშაოთა შედეგები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკულად დაინერგა. ისინი დიდად ეხმარებიან შრომის ნაყოფიერების ზრდას, ემსახურებიან მთავარ ამოცანას — ხალხის საყოველთაო კეთილდღეობის აღმავლობასა და გაუმჯობესებას.

საქართველოს მეცნიერების ყველა მიღწევათა სათითაოდ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და შეუძლებელიც არის, მაგრამ ზემოთ თქმულიც საკმარისია ჩვენი რესპუბლიკის აკადემიის ფართო და მრავალმხრივი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეგობრული კავშირი მრავალი ქვეყნის სწავლულებთან წლითიწლობით მტკიცდება და უფრო მყარი ხდება. ქართველი სწავლულები, მეცნიერები, მკვლევარები მრავალჯერ მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, კუბაში, ინგლისში, ფინეთში, მექსიკაში, პოლონეთსა და კიდევ მრავალ სხვა ქვეყანაში. ბევრი ჩვენი მეცნიერი მიუწვევიათ საზღვარგარეთ ლექციების წასაკითხავად.

მინდა აღვნიშნო, რომ ყურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეს“ სისტემატურად იწერენ საზღვარგარეთის აკადემიები თუ ცალკეული მეცნიერები.

პროგრესი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში საშუალებას გვაძლევს ბუნების სიმდიდრე და ძალა გამოვიყენოთ ხალხის კეთილდღეობისათვის, აღმოვაჩინოთ ენერგიის ახალი სახეობანი, შევიმუშაოთ კლიმატურ პირობებზე გავლენის მეთოდები, უფრო ღრმად შევისწავლოთ კოსმოსური სივრცის საიდუმლოებანი.

აკადემიის შექმნა, მისი შემდგომი მოღვაწეობა დაკავშირებულია შესანიშნავ ქართველ მეცნიერთა სახელებთან. ესენი არიან უპირველეს ყოვლისა მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, გიორგი ჩუბინაშვილი, კორნელი კეკელიძე, ნიკო კეცხოველი და კიდევ მრავალი სხვა. ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს მათი სახელებით.

ჩვენი მეცნიერება პროგრესის მძლავრი დამაჩქარებელია, რომლის შუაბს, სამართავ საჭესა და მეთაურს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს. ჩვენი უპირველესი ამოცანაა — მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სრული გამოყენებით, აგრეთვე საზოგადოებრივი წარმოების იდეუსტრიული განვითარებითა და მისი ეფექტურობის შემდგომი აღმავლობით უზრუნველვყოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლა და მისი მეშვეობით ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები გავაუმჯობესოთ.

ისევე როგორც დღემდე, მომავალშიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობა მიმართული იქნება ჩვენი ხალხის კულტურული და მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

რ. დვალი,


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

◆





სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან მარჯვნივ — გ. წერეთელი, ნ. მუსხელიშვილი (აკადემიის პრეზიდენტი), ნ. კეცხოველი, ალ. ჯანელიძე, ე. ანდრონიკაშვილი.

ეს რუსეთია










დაახლოებით ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ რუსთავი პატარა დაბა იყო, მაგრამ მოვიდნენ მშრომელი ადამიანები და ფერფლიდან აღადგინეს ოდესღაც სახელგანთქმული ბოსტან ქალაქი.

◆

დღეს რუსთავი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრია. **სურათებზე:** ზემოთ — აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წელია მწყობრში ჩადგა; მარჯვნივ — ამ ქარხნის ერთ-ერთი კუთხე.

◆

სურათზე: მარცხნივ — დღედაღამ განუწყვეტლივ დუღს გიგანტურ ბრძმედებში ქართული ფოლადი, დღეღამ განუწყვეტლივ შრომობენ ქართველი მეფოლადეები. **ქვემოთ, მარჯვნივ** — მეტალურგიული ქარხნის ერთი ნაწილის ხედი.




-ქალაქია, მეგობარო!







სურათებზე: საცხოვრებელი სახლები ხალხთა მეგობრობის პროსპექტზე; მარჯვნივ — მეფოლადეები ა. ფანცულაია (მარჯვნივ) და ო. ლომიძე.



სურათებზე: ზემოთ — დღედაღამ ბოლავენ ქარხნის მილები, დნება ქართული ფოლადი; ქვემოთ — სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, რამდენიმე თვის წინათ აქ მიიღეს პირველი ქართული კორდი.





დიდება



ქართული ციკლა „ყარსაქაჩია".

იბრძოდე, სჭედავდე თუ მკოდე —
წინაპრებს პბაძავდე სიკვდიმდე,
დედაო ქართლისავ, გმირთ ზრდიდე —
იდიდე, იდიდე, იდიდე!

გ. ტაბიძე.

ძვირფასო ივერი!

მას შემდეგ, რაც თბილისში გვესტუმრე და შენი ბაშვური აღტაცებით ჩვენც მოგვხიბლე, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ალბათ უკვე დავაჟკაცდი, დამშვენდი, და ისევ უკვდავი „დედოფალი ივერია" გიტრიალებს გულს, ვისი სახელიც გიწოდეს უცხოეთში დაბადებულ ქართველ ყრმას.

მახსოვს, ცრემლმორეული გვემშვიდობებოდი ჭკვიანი ყმაწვილი, და საქართველოც მუდამ ღირსია თავის შვილთა წმინდა ცრემლისა, ისევე როგორც მისი დიდება-სიამაყისა და აღტაცებისა.

ამ ღია წერილით მინდა მოგაწვდინო ბედნიერი სამშობლოს ხმა, და იმედი მაქვს არ მოგწყინდებათ შენ და შენს მეგობრებს საქართველოზე საუბარი.

ხეს რომ ნაყოფი მოსწყდება, ქარი წაიღებს, მშობელი მიწის სუნთქვა და იერი გაჰყვება ყველგან, სადაც უნდა მოხვდეს და გაიზარდოს.

მაისის მზე დაგნათოდა და შენს ლაჟვარდოვან თვალებში ამოვიკითხე ერთი საიდუმლო, რასაც უცხოელი ალბათ ვერ შენიშნავდა: კალაპარის უდაბნოშიც რომ მოხვდეს, ამ თვალებში მხოლოდ საქართველოს მთა-ბარი აირეკლება-მეთქი; ელინთა საოცნებო კოლხიდა, ჰაღარა კავკასიონი, სადაც დაასახლეს ცეცხლის გენია, ტიტანი პრომეთე. ჩვენცა გვყოლია ჩვენი პრომეთე. ამირანის მოდგმაა, ზღაპარს რომ სინამდვილედ აქცევს.

ნიკო ლორთქიფანიძე წერდა: ყველა ფრინველს თავისი ბუდე უყვარს, მხოლოდ ბაყაყისათვის სულერთია, რომელ ჭაობში მოხვდება. საქართველოს არწივებიც აფრენილ ფრთოსნებს არც ოდეს დავიწყებიათ თავიანთი საბუდარი. გაფართოვდა კავშირი და დავრწმუნდით ამაში.

ისმინე ივერიის ხმა. არც შენ დაივიწყო რაფიელ ერისთავის სიმღერად ქცეული სიტყვები:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
ჩემი სამშობლოც ის არის.

შენი სამშობლოც ის არი, ივერი! შენც ასე ფიქრობ უთუოდ:
არ გავცვლი სალა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

მართლაც, რა არის დედა-სამშობლოსავით სანუკვარი? და ჩვენი პირველი სიტყვაც ივერიის დიდებას გვინდა ვუძღვნათ.

ვახსენებ ივერიას, და წამოვა სანუკვარ ფიქრთა ქარავანი. ერთი წერილი რა არის, მთელი ტომები უნდა ჩვენს მოგზაურობას დროსა და სივრცეში. საით წავა ჩვენი ატომური „უნივერსალი"?

ჩაჰყევი მოდუდ უნე მტკვარს, აჰყევი ბაკურიანის მინიატიურულ მატარებელს, რიწას ტბის გზატკეცილს, უმწისაკენ მიმავალ ბილიკებს, ალაზნის ველს, ყველგან შრომის მადლია, ყველგან დიდების ძეგლებია, ომგადახდილი სიმაგრეები და ფვსვმაგარი მუხები, ქვისა და ფოთლის ენით რომ მოგვითხრობენ, თუ როგორ იცავდნენ ძველი ივერიის დიდებას.

ვახსენებ ივერიას, და გაზაფხულის სურნელოვან ველთა სუნთქვასავით მოდის ბედნიერ წუთებში თქმული სიტყვა გრიგოლ ორბელიანისა:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი — პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა,
შავთა დროთ ვერა შეცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა...

„იგივ მხნე, იგივ მღერალი..." ასეთია სამშობლო შენი. თუ ის მღეროდა სისხლის წვიმების დროს, მით უფრო ლაღად მღერის ახლა გამარჯვებული ქვეყნის დიდებას.

გზა იყო მძიმე და გრძელი.

ამ გზაზე ჩვენი დროშა, ჩვენი დუდაბი იყო ქართული ენა, რომლითაც ითქმოდა დიდება ივერიისა.

ამ ათი საუკუნის წინ იოანე — ზოსიმემ დაწერა შესანიშნავი შრომა: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". საფრანგეთში ამნაირი შრომა იოახიმ დიუ ბელემ შექმნა მხოლოდ ექვსი საუკუნით გვიან. პლეადის მესიტყვემ იწინასწარმეტყველა, რომ ყველა დამცირების მიუხედავად ფრანგული ენა გაიფურჩქნება და თავს ისახელებსო, იგივე თქვა ქართულ ენაზე ბევრად უფრო ადრე იოანე-ზოსიმემ. ასრულდა ერთა ღირსეული შვილების წინასწარმეტყველება. გადარჩენილ ქართულ ენაზე, ათონელთა ენაზე დაიწერა „ვეფხისტყაოსანი", ხოლო ფრანგულ ენაზე — „მაშა გორიო".

იოანე-ზოსიმეს „ქებაი" — ეს იყო დიდება ივერიისა იმ ძნელბედობის ჟამს, როცა ენა, ერი და ქრისტიანობა ეწერა ერის გადარჩენის დროშაზე. სასოწარკვეთილება და იმედი, აოხრება და აყვავება ცვლიდნენ ერთიმეორეს.

დიდება ივერიისა საფლაყა მარხიაო, მწარე სიხანულით უთქვამს ოდესღაც ჩვენს პოეტს. მაგრამ დიდება არ დაიმარხება, როგორც არ შეიძლება დაიმარხოს უკვდავება. დიდებამოსილი ხალხის ბევრი შედევრი შეიძლება დაიმარხოს, და მერე მკვდრეთით აღდგინოს შთამომავლობამ. რკინის ბუმბერაზებმა გადათხარეს წმიდა აკლდამები და აღადგინეს მტვერში დაცემული დიდების ძეგლები. როცა აკლდამები იხსნებიან, სასწორზე იდება ხალხის ღირსება. ჩვენ ამით მოვიგეთ.

სად არის ივერიის დიდება? ყოველ ქვაში, ყოველ წიგნში, ხელნაწერ-პალიმფსესტზე, ყოველ გოჯ ძიწაში. ათასი წლების მანძილზე იქმნებოდა ეს დიდება, მაგრამ რა არის ათასი წელი უკვდავებისათვის?

ჩვენი დიდება საქმეა ჩვენი. გადააცალე მტვერი მცხეთის სვეტიცხოველსა და ვანის ქვაბებს, ქანდაკსა თუ ჩუქურთმას — და შენ ნახავ ივერიის დიდების ნაშთს, რაც ვერ წაუშლია დროის შემმუსვრელ ხელს, თუმცა ხან მეხი და ელვა ეჭირა, ხან სელჯუკთა ხმალი, ხან ყიზილბაშის მრუდე მახვილი, ხან მონღოლთა სწრაფი ისარი, ხან მაკედონელთა გრძელი შუბი, ხან ხოჯა-ხანის სისხლიანი დანა. წყალნი მიდიოდნენ, ქვა კი რჩებოდა, რათა ჩვენთვის ჟუჟყებინა, რაოდენ ბევრს გვავალებს მომავლისათვის ხრუნვაში წარსული დიდება.

ივერიის დიდება! მართალია, ძველი საბერძნეთის საქმე უფრო გახმიანდა, მაგრამ განა ეს ფასს უკარგავს ჩვენს განუმეორებელ ისაგმირო საქმეებს, მათს სიღრმესა და საკვირველებას? აღმოსავლეთის ბარბაროსობა იმ ჯებირს ეჯახებოდა, რასაც დასაბამიდან ევროპის ეძახიან, ეჯახებოდა და ზედ ელეწებოდა, ევროპის საბედნიეროდ. ეს ზღუდე ხალისს უკარგავდა შემდგომი ლაშქრობისათვის აღძრულ ყაჩაღ ბარბაროსთა შეფერთხილ — შეთხზულებულ რიგებსა და შერცხვენილ სარდლებს. ამ წმინდა მიწაზე იფანტებოდა ყორნის ბუმბული, რაც შხამავდა ჰაერს, აჭკნობდა ვაზს, აშრობდა წყაროებს, უდაბნოდ აქცევდა წალკოტს... და ხაიბც ეს იყო წარმავალი ნაგავი, რაც ქარსა და წყალს მიჰქონდა, ივერიის დიდება კი რჩებოდა.

თუ ნგრევასა და აოხრებასაც ჰკუა უნდა, თემურლენგის ურდოები ერთგვარ ჰკუას მოკლებული არ ყოფილან. ივერიის სიცოცხლის ძარღვებს ეძებდნენ გადასაჭრელად, რაკი პირისპირ ბრძოლაში ეს ერი ვერ დააჩოქეს, ვენახები გაკაფეს, უვენახოდ ქართველი ვერ იარსებებსო. მაგრამ მოტყუვდა ბარბაროსი, ვერ შემუსრა ჯვარი ვაზისა. ლერწი დარჩა, ყლორტი იყარა, და დღეს ქართული ღვინო მსოფლიოს რჩეულმა ჭაშნაგირებმა აღიარეს. ეს არის დიდება ივერიისა.

და განა მარტო ეს? წყალსადენები და ცათა სწორი ტაძრები, ნაკორწმინდა და ჯვარის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი და იყალთო, ნამუსი და ზრდილობა, ჩვენი ბაღ-ვენახი და მთა-ბარი, ზღვა და ხმელეთი, ჰადიშის ოთხთავი და ვარძიის კლდე-ტაძარი, ფრესკა და ჩუქურთმა, რუსთაველი და ოპიზარი, ბახტრიონი და ასპინძა, ვაჟა და სიონი—აი დიდება ივერიისა. გადარჩენილი დიდება! გმირთა თაობების ამაგი... საუკუნეებს სწვდება დიდი ბარათაშვილის შეძახილი: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, დიდება თქვენდა, ღირსახსოვარნო".

* * *

მაგრამ ყოველივე ეს ხომ თვითონაც იცი, ახალგაზრდა მეგობარო, ჟამთა ტრიალმა რომ უცხო ცის ქვეშ გარგუნა დაბადება, მაგრამ ქართველად დარჩი! შენს თვალებში მე შევნიშნე სევდა იმის გამო, რომ საკუთარ სამშობლოში სტუმარი ხარ, მაგრამ შენი ღიმილი მანიშნებდა, რომ გახარებს არა მარტო დიდება ივერიისა, არამედ დღეკეთილობაც ახალი საქართველოსი.

შენ მართალი ხარ. სტუმრის თვალი ფხიზელია. შენ გაოცებდა ბევრი რამ, რასაც ჩვენი მზერა მიეჩვია და რაც სიზმრად არ მოსლანდებია ჩვენს მამა-პაპას.

მაშ მოვასვენოთ ისტორია და ერთხელ კიდევ შევავლოთ თვალი იმას, რითაც ჩვენი თაობა ამაყობს. ჩვენ ხომ აწმყოში ვცხოვრობთ და ძველი მემატიანეები როდი ვართ, სულ მტვერმოდებული ფოლიანტები ვფურცლოთ, ან განა იგივე მემატიანეები თავის დროზე თანამედროვეობით არ სუნთქავდნენ და არ აშენებდნენ სამშობლოს დიდების ტაძარს? ჩვენც მარად ვალში ვართ ჩვენი ხალხისა და კაცობრიობის წინაშე, უნდა ვქმნიდეთ ღირებულებას ჩვენს დროში და თვალს ვუსწორებდეთ მომავალს. ამავე აზრით უნდა მივაპყროთ თვალი იმას, რაც ჩვენს დროში კეთდება. კეთდება კი მეტი, ვიდრე ქმნიდა წინაპართა ფანტაზია. აღორძინებულმა ივერიამ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს მოწინავე ხალხთა ღირსეული თანამოსაგრეა და გვიჩვენა, თუ რა შეუძლია ბორკილაყრილ ხალხს.

გაგიგონია ენგურჰესი? მას შეიძლება ეწოდოს ქვეყნიერების მერვე საოცრება. ადამიანმა ბუნებას სახე უცვალა. მქუხარე ენგური, რასაც ვერაფერი მოუხერხა ჟამთა დენამ, ახალ კალაპოტში მიეღინება, მთების გულში. თითქოს ჰერკულესი ამდგარა მკვდრეთით და მჭუხარე ალფეიოსი გადაუგდია სხვა კალაპოტში, რათა



სურათზე: ჭ. ტყვარჩელის ერთ-ერთი კუთხე.

ი ვ ე რ ი ი ს ა



ჩარეცხოს ათასწლოვანი ვარამი. მაგრამ ალფეიოსი რა არის! ენგური თითქოს განზრახ აღრმავებდა თავის კალაპოტს ათასწლეულების მანძილზე, ხრავდა, რეცხავდა, ღრღნიდა, მითიური გველეშაპივით მიიწევდა მიწის გულისაკენ, რომ ვეღარავის ამოეგდო თავისი კლდოვანი ბუნაგიდან. მაგრამ ადამიანმა გამრჯე მარჯვენით გახვრიტა კლდე, როგორც ლეგენდარულმა იოსებმა სიყვარულის სახელით, და სინათლის სხივით სტიქია ადამიანის ნებას დაუმორჩილა, ახალი შუქის მთა აღმართა გმირთა სავანეში.

გაგონილი გექნება. ახლა ენგურჰესზე მსოფლიო ლაპარაკობს.

აი სად არის დიდება ივერიისა.

განა მარტო ენგურჰესზე? მრავალი ჯებირი, სასახლე, წყალსაცავი, მთაგრეხილებზე გაჭრილი გზა, თბილისის გულში მოგუმბათებული მეტროპოლიტენის თაღები, საჰაერო ბაგირები, ხიდები, მოედნები... მაგრამ განა შეიძლება ყველა საქმის ჩამოთვლა, რაც წლების მანძილზე ადამიანის გოლიათური ნებას და გონებას შეუქმნია?

ყველა ეს ქმნილება ძეგლია დროისა და დიდება თავისუფალი ივერიისა.

შენ არ ყოფილხარ უშგულში, მესტიაში, მულახში, ზურმუხტოვან ეცერში. ეს საქართველოს ოლიმპოს — სვანეთის სოფლებია. თავი ქვეყნიერების კიდეში გეგონება. მაღლა თეთრი მთებია, დაბლა — თეთრი კოშკები, კოშკები, კოშკები. ამ მთებში ინახებოდა საუკუნეების მანძილზე ივერიის დიდების ერთ-ერთი ძეგლი — ჰადიშის ოთხთავი. ხალხი სიწმინდესავით უფრთხილდებოდა ძვირფას ხელნაწერს. სვანეთსაც უდევს წილი ივერიის დიდების გადარჩენაში.

სვანეთში ოჯახს ვერ ნახავ, უმაღლესი განათლება რომ არ ჰქონდეს მიღებული ერთს მაინც.

საქართველოს პროცენტულად მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობით. ესეც დიდება ივერიისა.

მაგრამ არც სოფელია მიტოვებული. სასწაულებს ახდენენ სოფლის მშრომელები. ისტორიამ ბევრი არ იცის შრომის ასეთი მაღალი ნაყოფიერება. დაირღვა ყველა ზღვარი და ნორმა. იგივე ითქმის მაღაროელზე, მშენებელზე, მეფოლადეზე... ჩვენს დროს ესაჭიროებოდა დევგმირები და მშვა კიდეც დევგმირები, ძალუმი ხელით რომ ჭედენ დროის დიდებას.

„წარსულთა დღეთა, დიდების დღეთა ყოვლი კეთილი თანა წარიღეს“, ოხვრით ამბობდა პოეტი ამ ასი წლის წინათ. არა, არ წაუღიათ. გადარჩენილმა ადამიანმა სიკეთის ზღვა დააყენა და მთები აღმართა. მთავარია ადამიანი, მერე მისი საქმე და მიზანი.

ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ცეკვის ჯადოქრები, ფერხული და ფარიკაობა, განუმეორებელი ხალხური ბალეტი, რამაც გააოცა ყველა დასახლებული კონტინენტი... ეს არის გადარჩენილი ხელოვნება, ხალხის დარდი და სიხარული, — ეს არის დიდება ივერიისა.

მაგრამ რა არის ნივთიერი განძი იმ სულიერ საუნჯესთან შედარებით, რაც დასაბამიდან საკუთარ გულში შემოუნახავს, რაც ცეცხლის ქარში გამოუტარებიათ გმირთა თაობებს, შთამომავლობისათვის დაუტოვებიათ მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად! ეს არის დიდი შინაგანი რწმენა, ეროვნული ხალისი და იმედი, ჩვენს რომანტიკოსებს რომ არ დაუკარგავთ თვით იმ ბურუსიან დღეებში, როცა ევროპის დიდი ერების სასოწარკვეთილი პოეტები მისტიკურ ბურუსში და შავხელ პაპობაში ეძებდნენ გამოსავალს. ჩვენს ხალხს სწამდა. ვისაც სწამს, მუდამ გაიმარჯვებს. ეს არის დიდება ივერიისა.

...მიდიხარ, თვალს აპყრობ ახალ გივანტებს, ქართული მიწიდან რომ აღმართულან მითიური გოლიათებივით, და უნებურად თვალს ისევ წარსულს აპყრობ.

ხალხები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ქვეყნებს გადმოეცემა ეპატრონებოდნენ. ივერია რჩებოდა, და არა მარტო რჩებოდა, უმწიკვლოდ ინახავდა ხელოვნებას, ტრადიციას, ქალის ღირსებას, საქრისტიანოს დიდებას... ეს პატარა კუნძული წარმართთა და მაჰმადიანთა პირქუშ ოკეანის სამტროდ ატეხილ ტალღებს შორის! მერე, როცა საბოლოოდ წყდებოდა ქართლის ბედი, გამჭრიახმა ადამიანებმა, ერის მესვეურებმა ერთმორწმუნე რუსეთს შეავედრეს ეს მშვენიერი ქვეყანა. ამიერიდან მისი ფიზიკური არსებობა გადარჩენილი იყო, კულტურა-აყვავების ახალ სტადიაში გადასული...

მეფის პირქუშში მოხელეები, გენერლები და ბოქაულები, საუკუნეების მანძილზე საკუთარი თუ სხვა ხალხების დათრგუნვაში გამობრძმედილნი, დიდხანს ბოჭავდნენ ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხის დიდებასაც, მაგრამ ხალხმა აქაც იხსნა თავისი დიდება და გამარჯვებული ქვეყნის ხალხთა ძმური ოჯახის დროშის ქვეშ დადგა. წინ იყო მზე, მაისი, მარადიული გაზაფხული.

რაც მთავარია, წინ იყო დიდება ივერიისა.

ძვირფასო ივერი!

ახლა შენ ხედავ, რომ ამ ოჯახში დედოფალი ივერიაც იფურჩქნება, როგორც არასოდეს, ამაყობს დიდი წარსულით და იმედით შესცქერის მომავალს. ჩვენ გვწამს ყველაფერი, რაც სიყვარულზეა დამყარებული


ჩვენ გვწამს დიდ წარსულზე დამყარებული დიდი მომავალი. ჩვენ კიდევ უფრო გავმავრდებით, ავმაღლდებით, გავმრავლდებით, ჩვენს ენას ისწავლიან დიდი მეგობრები, ჩვენს წიგნებს გადათარგმნიან მსოფლიოს ხალხთა ენებზე. შენც გიყვარდეს ყველა ხალხი, არ დაივიწყო იმ ქვეყნის ამაგი, სადაც შობილხარ, მაგრამ გულის ფიცარზე დაიწერე დედაენის სიტყვები, გახსოვდეს შენი საქართველო და დიდება ივერიისა, დასაწყისი ალბათ ჰქონდა მას, ამ დიდებას, მაგრამ დასასრული არასოდეს არ ექნება.

მეგობრული სალმით

აკაკი გელოვანი.

თბილისი. 23 თებერვალი. 1966.

სურათებზე: ზემოთ — „დედა ქართველისა“; ქვემოთ — ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება „სვეტიცხოველი“.



უკანასკნელ ხანებში ქართული გამომცემლობები უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებენ, რომ ხელახლა სცემენ ბიბლიოგრაფიულ ღირსებად ქცეულ ან პერიოდიკაში მიმობნეულ თხზულებებს.

ახლახან ქართული წიგნის თაროს შეემატა ვლ. წოწელიას მიერ შედგენილი კრებული **„მოთხრობები“**. (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). ეს კრებული, ი. გრიშაშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დავიწყებულთა და გამორჩენილთა“ თხზულებებს შეიცავს.

კრებულში შეტანილმა სამმა მწერალმა — ანდრია დეკანოზიშვილმა (1861-1955 წწ.), ივანე ზურაბიშვილმა (1872-1940 წწ.) და ელ. წერეთელმა (1877-1950 წწ.) ცხოვრების ერთი ნაწილი საფრანგეთში გაატარეს.

ივ. ზურაბიშვილი 52 წლის ასაკში ჩავიდა ცოლ-შვილით პარიზში, სადაც მეტად მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. სამშობლოსაგან მოწყვეტილი, იგი გარდაიცვალა 1840 წელს ბრევალის სანატორიუმში.

დავიწყებულნი და გამორჩენილნი

ზურაბიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი გვევლინება როგორც მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. ზურაბიშვილის მინიატიურები ყურადღებას იპყრობს ცხოვრების პრობლემებზე სევდიანი ჩაფიქრებით, ფილოსოფიური მსჯელობით.

ან. დეკანოზიშვილი ეკუთვნის ჩვენი საუკუნის დასაწყისის იმ ახალგაზრდათა რიგებს, რომლებსაც თავიანთი ნიჭითა და ერუდიციით იმთავითვე მიეპყრეს მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება. ამიტომ იყო, რომ 1899 წელს მას „ერეკლეს ფონდიდან“ გამოუყვეს დახმარება და ფრანგული ენის შესასწავლად პარიზს გაგზავნეს.

1901-20 წლებში ანდრია დეკანოზიშვილი, განათლებით იურისტი, თავის სამშობლოშია. ხოლო 1920 წელს მეუღლითურთ მიდის საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. მოგზაურობიდან იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, დარჩა საფრანგეთში, სადაც 1955 წელს საბოლოო სავანეც ჰპოვა. დასაფლავებულია ქ. დრავეილში.

ა. დეკანოზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობაა სულ რამდენიმე ეტიუდი, ფსიქოლოგიური პროზის შესანიშნავი ნიმუშები. ფაქიზი ექსპრესია, ღრმა ადამიანური განცდები, თხრობის პოეტურობა ამ ნაწარმოებებს მაღალ მხატვრულ ღირსებას ანიჭებს.

ელ. წერეთელი — დიდი ქართველი მწერლის გ. წერეთლის ქალიშვილი და გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის — ნ. ნიკოლაძის დისშვილი—ადრევე გაიტაცა ლიტერატურულმა საქმიანობამ.

1901 წელს ელ. წერეთელი გაემგზავრა პარიზში უმაღლესი განათლების მისაღებად. აქ გაიცნო მან ალბერ დემოლონი, იმ დროს სტუდენტი, ხოლო შემდეგ ცნობილი ფრანგი მეცნიერი, რომელსაც შემდგომ ცოლად გაჰყვა.

ელ. წერეთლის მოთხრობები წარმოგვიდგენს ქალის ბედნიერების ძიების საკითხს. ამ ძიებაში მთავარი ადგილი უჭირავს წინააღმდეგობას იდეალსა და ცხოვრების სიმახინჯეს შორის. ეს პრობლემა დიდი გემოვნებითა და ადამიანის ბუნების კარგი ცოდნით არის ნაჩვენები.

ელ. წოწელიამ დიდი სამუშაო გასწია, თუმცა წერტილის დასმა ჯერ არ შეიძლება. ალბათ აღმოჩნდება კიდევ ბევრი ახალი მასალა კრებულში შეტანილი მწერლების შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის საკითხზე. ამ მასალის ძიებაში შეიძლება დიდი დახმარება გაგვიწიონ საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, რომელთაგან ბევრს, ალბათ, უშუალო ურთიერთობა ჰქონდა აღნიშნულ მწერლებთან.

ვ. ცისკარიძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

შოთა ნიშნიანიძე

ქართული სიმფონია

სჯობს ალარ გვჭონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.

ტიციან ტაბიძე.

მაგრამ მცირე ხარ,
შენ გენაცვალე,
სულ პატარა, ხარ, გულის ოდენა.

ირაკლი აბაშიძე.

1.

მოდი ვნახოთ საქართველო,
რამ დახატა საქართველო,
მიველ ვნახე საქართველო,
ზღვამ დახატა საქართველო.
მოდი ვნახოთ ზღვა,
რამ დახატა ზღვა,
მიველ ვნახე ზღვა,
ცამ დახატა ზღვა
მოდი ვნახოთ ცა,
რამ დახატა ცა,
მიველ ვნახე ცა,
მზემ დახატა ცა,
მზე შინა და მზე გარეთა
მზევ, შინ შემოდიო...
მოდი ვნახოთ მიწა,
ერთი მუჭა მიწა,
ოდითგანვე გაჩენილი
სიყვარულის ფიცად.
ყვავილების მიწა
რამ დახატა, რამ?
ხაფლავების მიწა
რამ დახატა, რამ?
ასე ერთი ციცქნა,
ასე პატარა.
თუ არ მწვერვალებმა
თოვლის ელვარებამ,
თუ არ წინაპრების
ცისხე-ეკლესიამ
ჩუქურთმებად,
ზღაპრებად,
ცას რომ შეგლესია.
ყანებმა და ვენახებმა
ავ თვალს რომ არ ენახვება.
ღელეებმა,
ჩანჩქერებმა,
სულ პატარა წისქვილებმა,
დაკრუხებულ ელსადგურთან
რომ მოჩანან წიწილებად.

2.

ოდითგანვე ცა და მიწა არ ყოფილა
უბრად?
ამ მიწაზე გაიშლება ამ ცისხელა სუფრა.
— რამ დახატა სუფრა, რამ აქცია არაკად?
— ზეცის მადლმა,
მიწის მადლმა,
გლეხიკაცის ბარაქამ.
— რამ გახადა სასახელო
სუფრა მართლა ცისხელა,
— რა თქმა უნდა, სადღეგრძელომ,
რა თქმა უნდა, სიმღერამ,
რა თქმა უნდა, კარგმა ლექსმა,
ცეკვამ გაუხუნარმა,
რა თქმა უნდა, სიყვარულმა,
რა თქმა უნდა, სტუმარმა,
რა თქმა უნდა, პირველ რიგში
გოგონებმა, ვაჟებმა —
ჭერაა თუ შავგვრემანი
ვარსკვლავს ეთამაშება.

3.


ცა ამ მიწის სიზმარია,
ცასაც მიწა ესიზმრება,
ხევები და ხეხილები
გაქცევიან მზეს ირმებად.
სადაური სად წასულხარ,
ცხრა მთას იქით, ცხრა არაკად,
საიდან გაქვს ეგ სიტურფე,
გამძლეობა ხვავ-ბარაქად.
ალბათ ქვეყნის გაჩენის დღეს
ასე, ერთი-ორი გზობა
ცაში ღმერთმა საქართველო
თავის მუჭით მოგვიზომა.
მიტომ არი კურთხეული
ერთი მუჭა მიწა-წყალი,
მიტომ არის უდღეური
მტერი ჩვენი — ნირწამხდარი.
გეცვა ჯაჭვის პერანგივით,
ვენახივით უხვი სიტყვა,
შენ ქუხდი და ნათელივით
ბაიბადე ქუხილიდან.
დაკლაკნილხარ ელვასავით,
ბრძოლით ნაამაგარო გზა
და ეგ სიტყვა ტკბილ-ქართული
ყელს გვკიდია ავგაროზად.
სილამაზე, სიჩაუქე
მიწიანა, ზეციანა
გაიტანა შენმა ლექსმა,
შენმა ცეკვამ ცეცხლიანმა.
შე პატარა მთა და ველო,
ვენახებში მიმალულო,
შე პატარა საქართველო,
ჩვენო დიდო სიყვარულო.

4.

კოშკია თუ სათოფური,
ფრესკაა თუ ქონგურია.
ჩუქურთმაა,
სიმღერაა,
რა არი და როგორია?
თუ არ იცი, თუ არ გიყვარს,
სირცხვილი და აუგია,
მაგრამ ბევრად აუგია
ზოგს თუ ვეღარ გაუგია,
რაც ნამდვილად ქართულია,
რაც დიდია ჭეშმარიტად,
მე იმ ქართველს პატივს არ ვცემ,
ამ ოჯახის ჭერს მარიდა!

5.

როგორც ორი ნაპირი,
როგორც ორად ორი ფრთა,
წარსული და მერმისი
გვეზიდება შორიდან.
ცა მიწამ და მიწამ ცა,
მთა ბარმა და ბარი მთამ
ერთმანეთი დახატა,
ერთმანეთი გარითმა.
არ ვარგივართ უშრომლად,
როგორც სკა უსარჭოდ,
საქართველო დახატა
ხნულებმა და ხარაჩომ.
ვარსკვლავმა და ალამმა
ნამგალმა და ჩაქუჩმა
მზე,
ყურძენი
თავთავი
ერთად რომ შეაქუჩა.
იყოს მარად დღეგრძელი,
როგორც სიტყვა ქართული,
ზღვისპირ წამომართული
და მთებში გაფანტული:
ტყე,
ფოლადი,
მაღარო,
დღეს, ხვალე და ზეგ.
ცხრა მთა,
ცხრა ცა,
ცხრა წყარო,
ეს ცხრათვალა მზე.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.



გზა მთაწმინდის პანთეონისაკენ, — ასე უწოდა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფოტოკორესპონდენტმა ვახტანგ ბებურიშვილმა თავის ფოტოეტიუდს. დიახ, ამ გზით შეგიძლიათ ახვიდეთ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში, სადაც განისვენებენ საქართველოს სახელოვანი შვილები — ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვასო აბაშიძე, კოტე მარჯანიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე...

დაგეძებენ, მოგელიან

შ ვ ი ლ ო გ ო გ ი!

საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებულთაგან გავიგე, გოგი ილიას-ძე ფურცელაძე ცოცხალია და უცხოეთში იმყოფებაო. ჩემო საყვარელო შვილო, თუ მართლა ცოცხალი ხარ, რა იქნება, გენაცვალოს დედა, ერთი წერილი მაინც მომწერო! შენზე ფიქრით თმა სულ გამითეთრდა, მაგრამ, დამერწმუნე, შენი ამბავი რომ გამაგებინა, შენი წერილი რომ წამაკითხა, ახალი სიცოცხლე დამიბრუნდება. დარეჯან პეტრიაშვილს ხომ იცნობდი! ამ რვა წლის წინათ ცალი ფეხი სამარეში ედგა, მაგრამ თავისი ალექსანდრე რომ ჩამოუვიდა პარიზიდან (აქ ახლა მას ძალიან აფასებენ), თითქმის ოთხ წელიწადს კიდევ იცოცხლა.

კიდევ გთხოვ, შვილო, თუ სადმე ხარ, გამომეხმაურე, შემატყობინე შენი ამბავი და გაახარე ჩემი მოხუცი გული.

შენი დედა თალიკო ფურცელაძე,
გურჯაანის რაიონი, სოფელი ვეჯინი.

პეტიაშვილს ვახტანგ ნიკოლოზისძეს, დაბადებულს 1923 წელს, სოფელ გრემში (ყვარლის რაიონი), ეძებს დედა — ოლა პეტიაშვილი, მცხოვრები სოფელ გრემში.

ჩაჩანიძეს შალვა ნიკოლოზისძეს, დაბადებულს 1923 წელს, სოფელ თელეთში (ბარდაბნის რაიონი), ეძებს მამა — ნიკოლოზ ჩაჩანიძე, მცხოვრები სოფელ თელეთში.

სურათზე: ვ. ნ. პეტიაშვილი.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე. თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.